თბილისის “დინამოს” მეშვიდე გამარჯვება

ლენინგრადის ფეხბურთელთა გუნდმა “ზენიტმა” უკანასკნელი სამი მატჩი საკავშირო პირველობაზე წარმატებით ჩაატარა. მოსკოვის “ცდკა” ძლივს გადარჩა “ზენიტთან” დამარცხებას – მან თამაშის მხოლოდ ბოლო წუთებში შესძლო გაეტანა ბურთი და მატჩი ფრედ დაემთავრებინა. ვერც მოსკოვის “ტორპედომ” დაამარცხა “ზენიტი”. ეს შეხვედრაც ყაიმით დამთავრდა ანგარიშით 0:0. მოსკოვის “კრილია სოვეტოვმა” კი “ზენიტთან” დამარცხება განიცადა ანგარიშით 0:5.

ამიტომ შეჯიბრების ლიდერის თბილისის ”დინამოს” და ლენინგრადის” ზენიტის” მატჩი, რომელიც გუშინ შესდგა, დიდ სპორტული ინტერესს იწვევდა სპორტის მოყვარულთა შორის.

თამაში სწრაფი ტემპით იწყება. მეკარეებს გრიშეჩკოსა და იოსელიანს მალე უხდებათ თამაშში ჩაბმა, მაგრამ ანგარიშის გახსნას დიდხანს ვერცერთი გუნდი ვერ ახერხებს. მხოლოდ პირველი ტაიმის უკანასკნელ ათ წუთში პირველი და შემდეგ მეორე გოლი თავური გარტყმით გააქვს ბერეჟნოის. ანგარიშია 2:0 თბილისელთა სასარგებლოდ.

თამაშის მეორე ნახევრის 21–ე წუთი თბილისელების ახალი წარმატებით აღინიშნა: პაიჭაძე–ბერეჟნოი–ხარბედიას კომბინაცია მთავრდება მესამე გოლით. მიუხედავად ამისა, ბრძოლის ტემპი და სიმწვავე არ ნელდება. ლენინგრადელები ცდილობენ ანგარიშის გათანაბრებას. თამაში მეტწილად თბილისელების მხარეზე წარმოებს, მაგრამ თბილისელთა თავდაცვის ძლიერი თამაში ლენინგრადელთა ცდებს ამაოს ხდის.

ამრიგად, მატჩი დამთავრდა ანგარიშით 3:0 თბილისის სასარგებლოდ.

ეს თბილისის “დინამოს” მეშვიდე გამარჯვებაა.

2 ივნისს მოსკოვში თბილისის ”დინამო” შეხვდება მოსკოვის “ცდკას”.

29 მაისი, 1946 წ.